



მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს წარმოგიდგენთ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები და წარმოდგენილია მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები.

ივლისში წლიური ინფლაცია მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა და 11.9% შეადგინა. აღნიშნული ძირითადად, მსოფლიოსა და საქართველოში პანდემიის გამო შექმნილი ვითარებისა და პოსტპანდემიური აღდგენითი პროცესების შედეგია. საქართველოში ინფლაციის მატება მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიოში ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერიოდულ გამოცემებში გლობალური ინფლაცია ერთ-ერთი მთავარი თემაა. აქ ნიშანდობლივია სურსათის გაძვირება. პანდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების, ცუდი მოსავლისა და გაზრდილი სატრანსპორტი ხარჯების გამო, მსოფლიოში სურსათის ფასები ბოლო ათი წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულზეა.

სურსათის გლობალურმა გაძვირებამ განსაკუთრებით იმოქმედა განვითარებად ქვეყნებზე, სადაც სურსათის წონა სამომხმარებლო კალათაში განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. საქართველოს სამომხმარებლო კალათაშიც სურსათის წონა მაღალია და 29%-ს შეადგენს, რის გამოც. სურსათის ფასის ცვლილება ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. დიაგრამაზე ხედავთ, რომ ივლისში სურსათის გავლენამ ინფლაციაზე 4.2 პროცენტულ პუნქტამდე მოიმატა.

ამასთან, მობილობის აღდგენასთან ერთად, ნავთობზე მოთხოვნა და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასები გაიზარდა. მსოფლიოში ნავთობის ფასი ბოლო სამი წლის მაქსიმუმზეა, რაც საწვავის ფასებზეც აისახა. გლობალური დინამიკის ანალოგიურად, საქართველოში წლის დასაწყისიდან საწვავის ფასები მნიშვნელოვანად, 32 პროცენტით გაიზარდა და ივლისში მისმა წვლილმა ინფლაციაში 2.1 პროცენტულ პუნქტს მიაღწია;

გარდა ამისა, ინფლაციის მაჩვენებელზე კვლავ მნიშვნელოვანია კომუნალური გადასახადების გავლენა. ივნისში ბუნებრივი გაზის გადასახადის ზრდამ თბილისში კომუნალური გადასახადების წვლილი ინფლაციაში დამატებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაზარდა და ის 1.7 პროცენტულ პუნქტია.

ასევე, გლობალურად კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი შეზღუდვების შენარჩუნების ფონზე, კომპანიების საერთაშორისო სატრანსპორტო და სხვა საოპერაციო ხარჯები გაზრდილი რჩება, რაც საბოლოო ფასებზეც აისახება.

ინფლაციაზე დამატებით აღმავალ ზეწოლას გაზრდილი მოთხოვნა ქმნის, რაც მათ შორის, ბოლო თვეებში საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის მეორე კვარტალში თითქმის 30 პროცენტის რეალური ზრდა დაფიქსირდა, რაც არამარტო საბაზო ეფექტს, არამედ პანდემიის ჩაკეტვების შემდგომ მოულოდნელად ძლიერ გადავადებულ მოთხოვნას შეიძლება დავუკავშიროთ. შედეგად, წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის ზრდამ 12.7% შეადგინა. ამასთან, გაზრდილია ეკონომიკის დაკრედიტების ზრდის ტემპი და ფისკალური სტიმულიც ნარჩუნდება.

დადებითი დინამიკა იკვეთება საგარეო სექტორში. მნიშვნელოვნად გაზრდილი ფულადი გზავნილების და საქონლის ექსპორტის გარდა, პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება ტურიზმში: საზღვრების თანდათან გახსნასთან ერთად, მცირედით გამოცოცხლდა ერთ წელზე მეტი ხნით თითქმის სრულად ჩაკეტილი უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების არხი.

გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ, ტურიზმის და საერთოდ ეკონომიკის აღდგენის დადებით მოლოდინებთან ერთად, გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო და ბოლო პერიოდში სავალუტო ბაზრის პოზიტიურ დინამიკასაც შეუწყო ხელი. თუმცა, არსებული შეფასებით, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარების გადაცემა ინფლაციაზე, ამ ეტაპზე, სუსტია. მიმდინარე პროგნოზით, როგორც ეს დიაგრამაზეა ასახული, ინფლაცია 2021 წელს, საშუალოდ 9-პროცენტზე ზევით შენარჩუნდება და, ზემოთჩამოთვლილ მიწოდების დროებითი ფაქტორების თანდათან მიღევასთან ერთად, სხვა თანაბარ პირობებში, მომავალი წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება, რასაც, მათ შორის, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებაც შეუწყობს ხელს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ ბოლო პერიოდის ეკონომიკური აქტივობის პოზიტიური დინამიკა ჯერ ისევ მყიფეა და დიდწილად პანდემიის დამღევაზეა დამოკიდებული. მომატებული ვირუსის შემთხვევები ეკონომიკის აღდგენას საფრთხეს უქმნის, ხოლო მომავალი სურათი კვლავ ბუნდოვანი რჩება.

ამ ვითარების ფონზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 4 აგვისტოს სხდომაზე განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. იმისათვის, რომ დროებითი ფაქტორების შედეგად ფასების ზრდამ ინფლაციის მოლოდინებზე მუდმივი გავლენა არ მოახდინოს, ეროვნული ბანკი ხანგრძლივად შეინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გაამკაცრებს მას. ამგვარი პოლიტიკით და ერთჯერადი ეგზოგენური

ფაქტორების მოსალოდნელი მიღების ფონზე, არსებული პროგნოზით, 2022 წელს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მის საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დაპირებას მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ის ასახავს საორიენტაციო ტრაექტორიას დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე. ახალი მონაცემების მიღებასთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ ხელახლა ხდება პოლიტიკის გაანალიზება, რაც საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და პროგნოზებსა მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

გმადლობთ ყურადღებისათვის!